სოციალისტურ რეალიზმს ეკუთვნის ჩვენი ხელოვნების არა მარტო აწმყო, არამედ მომავალიც. საბჭოთა ფერწერეს, მოქანდაკეს, გრაფიკოსს ესაა განსაკუთრებით მადლიერი და მომთხოვნი მაყურებელი ჰყავთ. პარტია და ხალხი დარწმუნებულნი არიან. რომ მაღალი ჯილდო ჩვენი ქვეყნის ყველა ხელოვანს შთაგონებს ახალი თვალსაჩინო ნაწარმოებების შექმნის, რომლებიც შეეკა საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის საგანძურში.

• • •

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიის კოლექტივს სხვენი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას აკადემიის საქმიანობის მაღალი შეფასებისათვის უდიდესი მადლობა გადაუხადა ნ. ვ. ტომსკემ.

როცა ჩვენ საბჭოთა კულტურის მიღწევებზე ვლაპარაკობთ, თქვა მან, მედამ უდიდესი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობებით მივმართავთ შრომლიერ კომუნისტურ პარტიას.

ორტომისტური პათოსი, თქვა შემდეგ ნ. ვ. ტომსკემ, ამიღლებული რომანტიკა, მომავლისადმი სწრაფვა, შთამაგონებელი კომუნისტური идეალები, ინტერნაციონალიზმის, მშვიდობის, პროგრესის идეები — სოციალისტური რეალიზმის ეს ნიშნები მას ყველაზე მოწინავე პოზიციებზე აყენებს კაცობრიობის სულიერ განვითარებაში, მის მიერ სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკური შემეცნებაში.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ აკადემიის კოლექტივი კვლავაც მთელ ძალ-ღონეს, მთელ თავის სულიერ მგზნებარებას მოახმარს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომ აყვავებას.

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის კოლექტივს მაღალი ჯილდო მიღლოდეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ნ. ა. პონომარიოვმა, მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის ავტომერნის ზეინკალთა სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ს. პავლოვსკიმ, სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ნ. ულასმ.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. (საკენსი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში 26 დეკემბერს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეთხუთმეტე მოწვევის საქალაქო საბჭოს მესამე სესია.

სესიამ განიხილა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის 1976 წლის ბიუჯეტის პროექტი და 1974 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დეპუტატი ბ. ლომჯანიძე.

ქალაქ თბილისის 1976 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 1974 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ ილაპარაკა თავის მოხსენებაში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილობის შემსრულებელმა ო. ჩხაიძემ.

სესიაზე მოსმენილ იქნა ავგრეთვე თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა დეპუტატმა ს. ზალდასტანიშვილმა.

საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ: პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველი მდივანი გ. მახარაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქიტექტორისა და დაგეგმარების მთავარი სამმართველოს უფროსი დეპუტატი თ. თევზაძე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი დეპუტატი ი. სტურუა, „მთავართბილისმშენის“ № 14 ტრესტის მმართველი დეპუტატი გ. კვიჭიძე, № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშა დეპუტატი ჯ. ჯანჯღავა, თბილისის რკინიგზის საკანონო სადგურის ოპერატორი დეპუტატი ნ. სიოროვატკინა და სხვები.

სესიამ დაამტკიცა თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმა, ქალაქ თბილისის 1976 წლის ბიუჯეტი და 1974 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სესიამ მოისმინა და მოიწონა ანგარიში იმ მუშაობის შესახებ, რაც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გასწია მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს.

დამტკიცებულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუშაობის რეგლამენტი.

ამით სესიამ მუშაობა დაამთავრა.

მთელი გულისყური—მეცხოველეობას!

ახალგაზრდათა დამკვრელური შრომა

თბილისში გაიმართა კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირული-ახალგაზრდული კოლექტივების, ახალგაზრდა საკვებმომპოვებლების კონკურს-შეჯიბრების გამარჯვებულთა რესპუბლიკური შეკრება.

მეკრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შარტავამ.

მეკრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ვ. ყასახაშვილი, სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ო. ...ბაძე, ზუგდიდის რაიონის დარჩელის საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. მამფორია, კასპის რაიონის ოკმის მეგეენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეენიზატორი, სრულიად საკავშირო ალკკ XVII კონგრესის დელეგატი ნ. ბუთხუნი, საქართველოს ალკკ ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ჩხიკვაძე, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის ავტოკარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ა. ბუხაიძე, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაიძე, გალის რაიონის სოფელ საბერიოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი რ. ღურწკაია, საქართველოს მეურნალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე.

მეკრებაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ო. ბარძელაშვილი.

მეკრების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ დამთავრდა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, დიდად განვითარებული მეცხოველეობის მხარედ საქართველოს გადაქცევისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი ღაშეურებენ პირველი ეტაპი. ორთვიურისა და დათვალიერება-კონკურსის შედეგად რესპუბლიკის ახალგაზრდობამ დაამზადა 143.690 ტონა თივა, 124.300 ტონა სენაჟი, 79.850 ტონა სილოსი, ათიათასობით ტონა ფვნიანი და სხვა უაზო საკვები, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ნაკისრ ვალდებულებებს.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კალიბვილებმა და ბაზებებმა, რომლებმაც ღრმად შეიგნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები, დასახეს ამ ამოცანების გადაწყვეტის ქმედითი გზები და განუგარელად ასრულებდნენ მათ.

დათვალიერება-კონკურსის და დამკვრელური კომკავშირული ორთვიურის დროს მნიშვნელოვან წარმატებას ძიღწევს ლაშქრობის ახალგაზრდა მონაწილეებმა აფხაზეთიდან, აჭარიდან, ზუგდიდის, გარდაბნის, ბორჯომის, გორის, მაიაკოვსკის, სიღნაღის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, აბაშის, თიანეთის, ხობის, წყალტუბოსა და რუსპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონებიდან. საუკეთესოთა შორის საუკეთესონი დაჯილდოებული არიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის. წითელი დროშებით, ვიმპელებით, სატატო სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

მეკრების მონაწილეებმა დიდი კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის რესპუბლიკის ახალგაზრდობის მოძრაობის ინიციატორებმა — ზუგდიდის რაიონის დარჩელის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა შეასრულეს წარმატებებს მიაღწიეს, გადჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი წერილში, რომელიც მეკრების მონაწილეებმა მიიღეს, ისინი აცხადებენ, რომ კვლავაც არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა საქართველო გადაქცეთ დიდად განვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკად. (საქინფორმი).

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების XII ყრილობა

ყრილობა გახსნა და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიო მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ო. ცინნაგაძ.

კამათში მონაწილეობდნენ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო კომიტეტების თავმჯდომარეები ი. შენგელია, მ. ქორიძე, ა. კოჩიეკი, რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი შ. ტაბიძე, თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე მ. ფელდმანი, საზოგადოებრივ-სანიტარული ინსპექტორი ნ. დემუროვა, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამმართველოს უფროსი გ. გორგომძე, პროფესორი გ. ფიცხელაური, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ს. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 24

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, ოცდამეოთხე ნომერი.

ეურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: მოწინავე — დროშამფლეთან ჰიდილში პროგრესული ტრადიციების გამარჯვებისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი; თ. მაისურაძე. — მტკიცე პარტიული ხელმძღვანელობითა და დამარებით; ჯ. ეგეტაშვილი — ახალგაზრდული შემართებით; ბ. ლომძე — სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის შეჯამებით; ო. გაბიძაშვილი — მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას — შეუნელებელი ყურადღება; ჯ. ნოზაძე — შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და მისი საკითხ. ამ ეკვე დაბეჭდილი ეურნალ „საქართველოს აგიტატორში“ 1975 წელს გამოქვეყნებული მასალების სანძიებელი.

მორის ფოცხიშვილი

...ალი ...ლექსები

საზეიმო ...ელეგია ქართველ ქალისა

ქართველ ქალს, —
ჩვენი შვილების დედას,
დას და მეგობარს,
მზეს რომ ედრება, —
ბედნიერება და სიხარული!
სიყვარული და ბედნიერება!

ერისკაცობის აკვნის დამრწევო,
მიმწუხრის ნისლი
როგორ დაგჩრდილავს, —
ენა ქართული — ვაზი ჯვარცმული,
შენმა ნანინამ გადაარჩინა!
შენმა მანდილმა გადაარჩინა
და შენმა სიბრძნემ
იხსნა სრულიად
რაც მაღალია და დიადია,
რაც სპეტაკია და ქართულია!
ბავშვის პერანგში
გაქვს ჩაქსოვილი
აზრი, სინათლე, —
წმინდა რაც არი...
შენი ჭაღარა თმების ნაცარი
ნაღვერდალივით ინახავს რწმენას,
რწმენას, რომ მუხა
არ მოიჭრება,
არ მოითხრება ვაზი სართველო, —
შენი სულივით იმედოვანი
და ხატოვანი
დგას საქართველო!
„ეეფხისტყაოსნის“ გადამწერელო,
ქართული ჰანგით სავსე მტევანო,
ხან თითისტარო,
ხან. სატევარო,
მასწავლებელო და მეომარო,
გულთამხილავო და მეგობარო,
ქალო მშრომელო,
ქალო მშობელო,
ძიძავ, აღმზრდელო,
მკურნალთ მკურნალო,
არსთა განმრიგეე
და შემოქმედო,
ნერგო, იმედო,
იღბალო, ბედო, —
შენ მთელი ჩვენი
სამშობლო გენდო,
შენს ფიქრებს ენდო,
შენს აკვნებს ენდო,
შენს სადიდებელს
გუგუნებს გული:
დღეგრძელი იყავ,
ნურც მოგკლებოდეს
ბედნიერება და სიყვარული!

შენ ძალგიძს სულის გაცისკროვნება,
ეს შენ გმორჩილებს
ყაცის გონება!
შენ რომ არ იყო, აირეოდა
წამად ქცეული წუთისოფელი,
შენ რომ არ იყო,
აიმღვრეოდა
ზღვა-ოკეანის წვეთი ყოველი.
შენ რომ არ იყო, რა იქნებოდა
ის, რაც სიცოცხლედ
ღმერთმა ინება, —
ხარ და იქნები ყველა ვულკანურ
საუკუნეთა დაშოშმინება!
და იცის ყველამ, რომ ნება შენი
ჩვენთა სიქმეთა მყარი ფუძეა,
რომ არვის ძალუძს
ამ ქვეყანაზე
ის, რაც უბრალოდ
ქალს შეუძლია!
შენი შვილია შოთა, თამარი,
ბრძენი ილიაც შენი შვილია,
ახალი მზის და
ახალი მთვარის
აკვნის დარწევაც
შენ შეგიძლია!

ქართველო ქალო, ლამაზო ქალო,
შენს სადიდებელს გუგუნებს გული, —
დღეგრძელი იყავ,
ნურც მოგკლებოდეს
ბედნიერება და სიყვარული!!!

1975 წელი.

ეძღვნება ქალის საქართაშორისო წელს

ქალთა წიგნები და წიგნები ქალებზე

გამომცემლობა „მერანში“ გაიხსნა ქართული წიგნის გამოფენა, რომელიც ეძღვნება ქალის საერთაშორისო წელს, გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი ქალების — მწერლებისა და პოეტების, მეცნიერებისა და მთარგმნელების წიგნები, რომლებიც რესპუბლიკის გამომცემლობებმა გამოუშვეს. გამომცემლობებში „საბჭოთა საქართველომ“, „განათლებამ“, „ნაკადულმა“, „ხელოვნებამ“, „მეცნიერებამ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 200-ზე მეტი წიგნი წარმოადგინეს.

ექსპოზიციაშია აგრეთვე ქართველი მხატვარი ქალების — თამარ ბაბაეულის, ნათელა ანჭაფარიძის, ბელა ბერძენიშვილის, ანა დიენოკოვსკაიას, გრიგოლიას გრაფიკული ნაწარმოებები. აქვე ქართველ მხატვართა პლაკატები, რომლებიც ეძღვნება ქალებს — დედებს, მშრომელებს, მეცნიერებს.

გამოფენა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ შ. ნემსაძემ, გამოფენაზე შეკრებილ ლიტერატორ ქალებს გამოფენის გახსნა და ქალის საერთაშორისო წელი მიულოცეს გამომცემლობა „მერანის“ დირექტორმა ვ. კალაძემ, პოეტმა ლ. ვრაძემ, გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარმა რედაქტორმა ნ. კალანდარაშვილმა.

გამოფენაზე ექსპონირებულია მხატვრული ლიტერატურა, მეცნიერული შრომები, საბავშვო წიგნები, მხატვრული ალბომები. (საქინფორმი).

...ალხის ...ოვნაში უკვდავყოფილი

...ენინგრადი, 26 დეკემბერი. (სა-...ს კორ. ვ. განშინი, ნ. კონდრა-...ი).

...ეგუდ, დეკაბრისტთა აჯანყების 150 ...ათავის დღეს, საზეიმო ვითარე-...ბაში ნასრანტის ობელისკი ...ეგუნის ხელმძღვანელთა სიკვდი-...ლის ადგილას. იგი აღმარ-...ა პეტრე-პავლეს ციხის კრონ-...ა გამაგრების აღმოსავლეთ კი-...ბ.

...ბ და ბრინჯაომ უკვდავყვეს ომა-...ბა, ვინც პირველმა დაგმო ...ბი, სენატის მოედანზე გამო-...ა. პოლეები, რათა საქეყნოდ შე-...ბოდა თვითმპყრობელობის.

...ელის წინა მხარეს ამოკვეთი-...ა სკვდილით დასჯილ გმირთა ...ტრეტების

ვახტანგ ზაგრატიონის დაბადების 300 წლისთავი

მეცნიერი, მწერალი, სახელმწიფო მოღვაწე

გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, მეცნიერსა და მწერალს ვახტანგ მეექვსეს (ვახტანგ ბაგრატიონი) ცხოვრება და სახელმწიფებრივი ნოსტალგიის მესაჭეობა უღრეს ად რთულ და დაძაბულ ისტორიულ ეპოქაში მოუხდა. აღმოსავლეთის აგრესორთა მტრული გარემოცვის რკალის გარღვევა ძალზე გაძნელდა. ყიზილბაშური სპარსეთის მძიმე უღელი საქართველოს ხულს უხუთავდა, ხოლო ოსმალური ტირანიის სიღუხჭირე ყიზილბაშობასაც ხანაგრძლივს ხდიდა, ლეკების აულაგმავი თარეში კი ქართლის მეწყვეულს აჩანაგებდა და აპარტახებდა. მაინც ყველაზე მეტად ქვეყანას უთავბოლო შინაგანი განხეთქილება, ფეოდალური აშლილობა. ეროვნული განაკვრძობა, ურთიერთშუღლი და მტრობა აძაბუნებდა.

ვახტანგ VI-მ ბევრი იღონა შინაგანი სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საგარეო უმიმოობის დასამყარებლად, შეიმუშავა სამოსამართლო კოდექსი („ვახტანგის სამართალი"), რის გამოც დამსახურებისამებრ ეწოდა სჯულმდებელი. მოაწესრიგა აღმინისტრაციული სისტემა და საგადასახადო მეურნეობა („დასტურლამალი"). ჯერ კიდევ ბატონიშვილობის პერიოდში შესდგომია ვახტანგი მშობლიური ისტორიის შესწავლის დაფუძნებას მკვიდრ მეცნიერულ ნიადაგზე. მოუწვევია „სწავლული კაცები" და დაუალებია მათთვის სასტორიო პირველწყაროების გამოძებნა, შეგროვება, შეჯერება, წარყენილის შესწორება, საიმედო ტექსტების დადგენა და ამის საფუძველზე „ქართლის ცხოვრების" ნაკლის შევსება, XIV საუკუნეზე შეწყვეტილი სასტორიო თხრობის გაგრძელება. ასე ჩამოყალიბდა „ქართლის ცხოვრების" ვახტანგისეული რედაქცია.

პირადად ვახტანგ VI ან და მის მიერ თანამშრომლებად შერჩეული ცოდნე პირები აბუსვეგბდნენ მედიცინის, ქიმიის, ასტრონომიისა და მეცნიერების ზოგი სხვა დარგის სახელმძღვანელო წიგნებს.

ვახტანგის სახელის უკვდავსაყოფად ბარტო ის კმარა, რომ მან გაამარა დედაქალაქში ქართული ეროვნული სტამბა და წამოიწყო წიგნების ფართო მასშტაბით ბეჭდვა. ვახტანგის სტამბამ იბეჭდებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნები, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა. ვახტანგის სასტამბო-სგამომცემლო მოღვაწეობის გვირგვინია „ვეფხისტყაოსნის" პირველი ბეჭდური პუბლიკაცია 1712 წლისა. ამის ჩაეშალოთა ვახტანგმა თავისი უსადო ნიჭი, ცოდნა, საარაკო ენერგია და გულმოდგინება. ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა, რომელიც ვახტანგის სახელს ატარებს („ვახტანგისეული რედაქცია"), რუსთაველის პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემად და მაჩვენებელია ფილოლოგიური მეცნიერების მაშინდელი საკმარისად მაღალი დონისა. გამოცემას ამკობს სწავლული რედაქტორის ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელმაც სათავე ედო რუსთაველოლოგიას, როგორც სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინას.

ირანში ხანგრძლივად ყოფნამ ვახტანგი საბოლოოდ დარწმუნა, რომ ყიზილბაშურ სამყაროსთან თანამშრომლობა ქართლს დაღუპავდა, რომ ერთადერთ საიმედო რეალურ ძალად რჩებოდა მხოლოდ რუსეთი („ვერიპამ ხომ გული აუგრა). ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში აპირებდა ვახტანგი არჩილთან ერთად რუსეთში წასვლას. ირანში ყოფნის დროს კი ფარული კავშირი გაბა რუსეთის ელჩ ვოლინსკისთან. თითქის ბედმაც გაუღიმა. შეიდებთან ომის გამარჯვების დამთავრების შემდეგ პეტრე პირველმა აქვე შემოსთავაზა ქართლის მპყრობელს მოკავშირეობა მეტისმეტად მაცთუნებელი პირობებით. სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის საფასურად პეტრე სიტყვას იძლეოდა საქართველო დაეხსნა ყიზილბაშურ-ოსმალური უღლისაგან. ვახტანგის ოცნებას ფრთები შეესხა.

პეტრე პირველთან შეთანხმების შესახებ ბოლოკვირეთა სამხედრო ნაწილები უნდა შეერთებულიყვნენ ნორგანის ქალაქ შაბიის მიდამოებში. ლაშქრობა დიდი წარმატებით დაიწყო. პეტრემ შედარებით ადვილად დაიპყრო კასპიის ზღვის სანაპირო ზოლი. გულდაგული მიიწვევდა წინ ვახტანგს შეეხვეჩ (მას ელაშქარში იმყოფებოდნენ სომხური ნაწილებიც). სამწუხაროდ, ისტორიამ უმუხთალა ვახტანგს. სხვადასხვა დამბრკოლებელი მიზეზის გამო პეტრემ შეწყვიტა სამხედრო მოქმედება და უკან გაბრუნდა. გამძვინვარებულმა შაჰმა ვახტანგი მკაცრად დასაჯა. ქართლი ჩამოართვა

საერთოდ და პრინციპულად ვახტანგის პოლიტიკური ალღო უთუოდ შეუმცდარი იყო.

ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ურთიერთობის საფუძველს ქმნიდა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ინტერესების საერთო ნიადაგი. სწორედ რუსეთთან და რუს ხალხთან მჭიდრო კავშირმა იხსნა ქართველობა გადაშენების ნიფცოისაგან და საბოლოო ანგარიშით დიდი ოქტომბრის მადლს აზიარა.

მედარზე მცდარია შეხედულება, რომელსაც შესაძლებელია მავანი ვინმე ახლაც იზიარებდეს, თითქოს ვახტანგი უიდეო და უშინაარსო ანუ „პიი-პუუს, პიი-პუუს" ბანგზე მეორდა, მაშინ როცა მის ქვეყანას თავზე ატყდა ათასგვარი უბედურება. ჯერ ერთი, ვახტანგი ფაქტობრივ მფარველობდა იძულებით გამოწვეულ თავისუფალ დროს. ერთგან ის დიდი სინანულით ამბობს — „შეფობის ნაცვლად სოფლიმან მიბოძა ლაქსობანია"-ო. ისპაპანსა და ქირმანში ტყვეობისას უთარგმნია ვახტანგს, როგორც ვიცით, „ილიადა და დამანას" წიგნი.

ვახტანგს ეკუთვნის მაღალი ეთიკური იდეალების გამომხატველი ორი პოემა — „ამირანსარიანი" და „სიბრძნე მალადობელი". შორს რომ არ წავიდეთ და ამის თაობაზე სიტყვა არ გაგვგრძელდეს, აქედან დავიმოწმებდით მხოლოდ ერთს, სახალხოდ ქცეულ ცნობილ აფორიზმს — „ცეცა ვმართებს გამზრდელისა, თუ ყრმა ნახო ავად ზრდილი". შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ეს აფორიზმი ისე გავრცელდა, რომ თითქმის დაიკარგა მისი წარმოშობის კვალი და ვინ იცის, ვის არ მიაწერდნენ მის ავტორობას!

ვახტანგის სტიქია ლირიკაა. ვახტანგმა დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში ელეგიური ლექსის კულტურა. მისი ლექსების უმეტესობა დაწერილია სამშობლოს გარეთ, დევნილობაში და გარდახვეწილობის, „ეგვათა სიავის" მძიმე პირობებში. ამიტომაც ამ ლექსებს მძაფრი კაეშნისა და ძლიერი სევდა-ნაღველის სულისკვეთება მსჭვალავს:

დამიმონა კაეშანმა,
სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
ნადველს ვხმაროობ მუდამ
მელნად,
გულსა ვაწვეე მისად კალმად.

ვახტანგი პირველი პოეტი იყო ქართველობაში, ვინც გამბედავად გულისწორ სატრფოდ დასახა მისი სამშობლო (ამ მხრივ ივი აკაკი წერეთლის წინამორბედად მოჩანს). ვახტანგის სულიერ ურვას ბანს აძლევს გურამიშვილის სოფლის გოდება:

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე,
ვაი, სიკვდილო, მწარე
სიკვდილო!
მეგონა რა მე, სოფლისა რაშე,
ვაი სიკვდილო, მწარე
სიკვდილო!
(ვახტანგი).
გული ღონდება, ვიწყო გოდება,
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-ბოდება, რაც
მაგონდება,
ვაი, საწუთრო, ცრუო სოფელო!
(გურამიშვილი).

ვგონებ ნათელია, ვახტანგის ლექსს გურამიშვილის ლექსზე ზემოქმედების უეჭველობა. სოფლის სამფურავი საზოგადოდ მთელი ლიტერატურული ეპოქის, XVI-XVIII საუკუნეების მთელი ქართული პოეზიის ნიშანდობლივი საერთო მოტივია. შთამბეჭდავია სოფლის სამდურავის ვახტანგისეული ლექსების ბუნებრივი ხმა. უკუღმართი ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ვახტანგის პირადული ტრაგედია შშვენივრად აღიბეჭდა მის ერთ პატარა ლექსში, რომელიც მოლიანად მოგვყავს:

რანი და, მოვაკანი და,
ხახლი და კარი, ბანი, და...
გათავდა ყოველი წერილი,
ანი, ბანი, და, განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა,
სიგრძე და სიგრცე, განი და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი,
დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე,
სულ მოვეც იქი რჯანი, და.
ვაი, ვაჲ, მსაჯეს უბრალოდ,
არ მომეცეს მე აჯანი, და.

ეს მინიატურული ლექსი უნიკალურია ქართულ პოეზიაში თავისი ღრმა მინაარსით, პოეტური გამომსახველობის ჭეშმარიტი ორიგინალობით, ნოვატორული წყობით, უჩვეულო, მოულოდნელი რიტმითა და რითმით, საკვირველი მუსიკალურით. მინაარსის მიხედვით, ლექსი ეჭიანება უსასოობის მწველავალს. ამ მიჯნის იქით, მოსალოდნელი იყო მხოლოდ თავშეუკავებელი წყევა და გოდება, სოფლის დაგდებისა და სოფლისაგან გაქცევის ქადაგება. ვახტანგი ასე არ მოქცეულა. მოლოდინის წინააღმდეგ მან სამვილიშვილოდ გვიახლდეჩა სიცოცხლისმოყვარეობის ვრძნობით გამსჭვალული ბრძნული შეგონება:

კაცმან უნდა თავის საქმე
ყველა ღვთითა მოიგაროს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს,
იქაც ბარგი დაიბარგოს,
მოყვარეთ და ამხანაგთა
თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილობლად
წყლისა პირსა სამე დარგოს.

ეს შეგონება ნებისთვ თუ უნებლიეთ ყველას აგონებს ბარათაშვილის ერთი განთქმული ლექსის („ფიქრნი მტკვრის პირას") უკვდავ სტრიქონებს:

მაგრამ რადგანაც კაცნი
ვჭქვიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდოთ მას,
გვესმას შშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი
მკვდარსა ემსგავსოს,
ეყოს სოფელში და სოფლისთვის
არა იზრუნვოს.

ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სოფლის ბრობლემის ბარათაშვილისეული გადაწყვეტა პირდაპირ ემსგავსება ამ პრობლემის ვახტანგისეულ ახსნას. ორივე შეეხებვენ ფილოსოფიური ჭვრეტის სიღრმით არის გაშუქებული ზუთისოფლის რაობისა და ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ეს მარადიული თემა. არსებითად ერთი და იგივე პასუხია გამოძებნილი. ადამიანს, როგორც გარკვეულ სოციალურ არსებას, როგორც ბუნების გონიერ შვილს, არ შეეფერის უმოქმედობა, ვაღზე გადგომა, მცოხარეობა და მეჭვეტელობა. ადამიანს მოეთხოვება საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის მიდევნება, სოფლისათვის (საზოგადოებისათვის) ზრუნვა, შრომა და გარჯა კეთილი სახელის დასაგდებად ამ ქვეყანაზე.

ვახტანგ VI და ბარათაშვილი ერთგვარი პოეტური პათოსით და თითქმის ერთგვარი სიტყვიერი ფორმით აყალიბებენ ადამიანის საამქვეყნო დანიშნულების ეთიკურ ნორმებს. მართალია, ვახტანგს არც საამქვეყნო ცხოვრების სფერო ავიწყდება („კაცმან უნდა... იქაც ბარგი დაიბარგოს"). ნიკოლოს ბარათაშვილს ადამიანის მხოლოდ საამქვეყნო დანიშნულება აინტერესებს. ამ მხრივ მისი ფილოსოფიური შეგონება უფრო თანამედროვეა, უფრო მიზიერი. ამისდამიუხედავად, ბარათაშვილის აზროვნება რაღაცნაირი კუთხით მაინც ვახტანგის თვალსაზრისს ეჯიბება, ვახტანგის პოეზიით არის დავალებული.

ვახტანგ VI ხელმძღვანელი თავისი დრონისათვის ეშვიათად თავისთავადი, მოაზროვნე პოეტი იყო, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო ქართული მწერლობის ხნულში და გარკვეული ხასიათის ზემოქმედებაც მოახდინა მის შემდგომ მხვლელობაზე. ცნობილია, რარიგ აფასებდა ვახტანგის შემოქმედებას ილია ჭავჭავაძე.

ალ. ბარამიძე.

საერთაშორისო ეროვნული ბიბლიოთეკა



ფრთოსანთა მწყობრში

26 დეკემბრის დილა, მოსკოვის დომოდედოვოს აეროპორტი. ასაფრენ ბილიკზე ნელა გამოდის თვითმფრინავი საბორტო ნომრით 77106. საფრენ მოედანზე რჩებიან გამცილებლები — სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს თუმაკები, ჟურნალისტები. დეკემბრის სუსხიანი ქარის მიუხედავად ყველა მოუთმენლად მოელის სტარტს.

ვ. ვ. ელიანმა, რომელმაც „ფრენა ასწავლა „ტუ-144" თვითმფრინავს, მოკლედ თქვა: საკომპლექსოდ ისპეტრეო პუაქტში ვიქნებიო და მანქანას მიაშორა — ფრენის დროს იგი რადიოთი დაუკავშირდება ეკიპაჟს. საათს უყურებს ა. ა. ტუპოლევი. რვა საათი და ოცდაათი წუთია. მოთეთრო-მოცისფრო თვითმფრინავმა დედამიწისკენ დაბარა წვეტიანი „ნისკარტი", გაქანდა და უჩვეულოდ სწრაფად ავარდა ცაში. თვალის დახამხამებაში (ერთ წამში თვითმფრინავი 20 მეტრ სიმაღლეზე ადის) იგი ამოფფარა დედამიწაზე ჩამოწოლილ ღრუბლებს და მორჩნდა მხოლოდ მანქანის ტურბინებიდან გამომავალი ცეცხლის შლეიფი.

საექსპლოატაციო რეისით მოსკოვი — ალმა-ათა დაიწყო „ტუ-144" ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავის შრომითი ბიოგრაფია აეროფლოტის ტრასებზე. დღეს ლაინერს მიაქვს ფოსტა და ტვირთი, მაგრამ შორს აღარ არის ის დრო, როცა მის დიდ სალონებში მგზავრები დაიკავებენ 140 ადგილს.

ფრენის დაწყებამდე გაიმართა ხანმოკლე პრეს-კონფერენცია. სოციალისტური შრომის გმირმა, გენერალურმა კონსტრუქტორმა ა. ა. ტუპოლევმა წარმატებული ფრენა უსურვა სამოქალაქო ავიაციის პილოტებს. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული იყო ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავების ექსპლოატაციის დაწყება, თქვა ა. ა. ტუპოლევმა. ჩვენ, ავიაშენებლები, ვამაყობთ იმით, რომ შევასრულეთ პარტიის მიერ დასახული ამოცანა.

ზებგერითი თვითმფრინავისათვის გაყვანილია სპეციალური ტრასა, — თქვა სსრ კავშირის დამსახურებულმა გამომცდელმა მფრინავმა, სამოთა კავშირის გმირმა ვ. ვ. ელიანმა; იგი სამუალებას გვაძლევს დავზოგოთ ორასამდე კილომეტრი. აფრენიდან დაასლოებით 19 წუთის შემდეგ (ტუ-144 ამ დროს უკვე რიაზანის რაიონში იქნება) 11 კილომეტრ სიმაღლეზე თვითმფრინავი გადავა ზებგერითს სიჩქარეზე, ხოლო 37 წუთში განავითარებს 2.200 კილომეტრ სიჩქარეს.

დღევანდელ რეისს ასრულებს ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში არიან პილოტები ვ. პოპოვი, ი. ვედერნიკოვი, ბორტინჟინრები ა. ტარარუხინი და ი. მაიბოროდა. მათ უკმე ჰქონდათ ბევრი საწვრთნელი ფრენა: ჯერ დფრინავდნენ გამომცდელ მფრინავებთან ერთად, შემდეგ დამოუკიდებლად. აეროფლოტის მუშაკები წინასწარ ემზადებოდნენ ტრასაზე ახალი ლაინერის გასვლისათვის. სამოქალაქო ავიაციის გამოცდილი პილოტები ბეჯითად ეუფლებოდნენ რთულ ტექნიკას. პირველი რეისისათვის (დღეიდან ასეთი რეისები რეგულარული იქნება) მზად იყო რამდენიმე ეკიპაჟი. საქე მიანდეს საუკეთესოებს.

10 საათს და 29 წუთზე ტუ-144 დაეშვა ალმა-ათის აეროპორტში.

— ფრენამ ნორმალურად ჩაიარა, — თქვა ი. ვედერნიკოვმა. — ხომალდის მთელი მატერიალური ნაწილი და მოწყობილობა უსადოდ მუშაობდა. მიგფრინავდით დაახლოებით 18 ათას მეტრ სიმაღლეზე, საათში 2.200 კილომეტრი სიჩქარით. ეს საკმარისი იყო, რომ დაახლოებით 2 საათში ჩავსულიყავით ყაზახეთის დედაქალაქში. ფრენისაგან საუკეთესო შთაბეჭდილებანი დავეგრრა: გადატვირთვა არ ყოფილა, ძრავების ხმაური უმნიშვნელოა. ეფიქრობ, რომ მგზავრებს სიამოვნებას მიანიჭებს მოგზაურობა ტუ-144 თვითმფრინავით.

აეროფლოტის განრიგში გაჩნდა ახალი რეისი. მალე ავიამოგზაურები სიამაყით იტყვიან, სტრატოსფერში ვიყავითო, და გვიამბობენ, როგორ გამოიყურება ჩვენი დედამიწა თითქმის 20 ათასი მეტრი სიმაღლიდან.

მ. გორბაჩოვი,
ბ. კოსტიუკი,
საკავშირო ხელ. კორ.
ფრუნზეს-ალმა-ათა.

* * *

სურათზე: ტუ-144, აფრენა.
ბ. ზიქტრიროვის ფოტო („იზვესტია").

საახალწლო სუფრისათვის

60-მდე დასახელების სხვადასხვაგვარი ხორცის პროდუქტი მოამზადეს საახალწლოდ რესპუბლიკის ხორცის მრეწველობის მუშაკებმა. ბევრ მათგანს მომხმარებელი პირველად იგებდებ. ეს არის მოსკოვური ლორი, დაბეჭენილი ლაბა, შუად შებოლილი ძეხვი — „ხაამი", ამ დღეებში ხორცის ნაწარმის გამოშვება რამდენჯერმე აღემატება ჩვეულებრივ სადღეღამისო ნორმას.

შეეუხლეოდავად, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად, გამოუშვეს პროდუქციის თბილისის რძის კომბინატი, ამ დღეებში თბილისელები პირველად შეაფასებენ ახალ პროდუქციას — პეტნიან, ტარხუნიან, შავაილანიან ყველს.

20 ათას დეკალიტრ ღვინის შესთავაზებენ მყიდველებს ყოველდღიურად ამ დღეებში საქართველოს მეღვინეობის საწარმოები. ღვინის ასორტიმენტი გახსაკუთრებით მრავალფეროვანი იქნება — ტრადიციული შამპანური, ათობით სახეობის სამარკო ღვინო, ჩამოსასხმელი კახური ღვინო. დაასლოებით მილიონ ბოთლ ხილის წყალს გამოუშვებენ ყოველდღიურად „საქმინხილწყლების" საწარმოები.

მრავალფეროვანი იქნება საკონდიტრო ნაწარმი. ათობით ტონა სხვადასხვაგვარ ტკბილეულს მიიღებენ ახალი წლისათვის რესპუბლიკის მცხოვრებნი.

ᲠᲔᲙᲝᲜᲕᲐᲚᲘᲡᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ და კიროვის რაიკომების მაღაზიებში 10 ათასი საახალწლო სასაჩუქრო პაკეტი მოამზადეს. ეს არის კომპლექტები, რომლებშიც შედის ტაკილეულობა, მინიატურული ტელევრობა, ხილ, ლიმონის, პლასტმასის ნაწარმი და სხვა ნაკეთობანი, რომლებიც გათვალისწინებულია როგორც მოზრდილების, ისე პატარებისთვის.

უკვე გაჩაღდა საახალწლო ვაჭრობა. და მთავარი ის კი არ არის, რომ სავაჭრო საწარმოები სადღესასწაულოდ არის მორთული და უხვად სთავაზობენ მყიდველებს სასაჩუქრო კომპლექტებს, არამედ ის, რომ შეგიძლია შეიძინოთ ფართო ასორტიმენტის საქონელი.

დიდი მუშაობა გასწია ორჯონიკიძის რაკკვეშვაჭრობამ (დირექტორი ნ. წიქარიშვილი). ამ სავაჭრო ორგანიზაციის წიალად მოდის თბილისის ყველა სასურსათო მაღაზიის საქონელბურნვის ნახევარზე მეტი. 100 მაღაზია სურსათით უზრუნველყოფს ვაკისა და საბურთალოს მცხოვრებლებს. ამ სავაჭრო ორგანიზაციათა კოლექტივები ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდებიან მყიდველებს. 53 მაღაზია თვითმომსახურების მეთოდით მუშაობს. განსაკუთრებით კარგად არის მოგვარებული მომსახურება № 1 და № 5 მაღაზიებში (დირექტორები გ. გაგუა, ა. ტოროსიანი). ამ სავაჭრო საწარმოებმა მოაწყვეს შეკვეთების მიგიდა, საქონლის შინ მიტანა და ამრიგად მიიზიდეს მყიდველები, რამაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა როგორც ბუთწლიანი, ისე წლიური გეგმების ვადამდე შესრულების საქმეში.

კვებვაჭრობის 9 მაღაზიამა გახსნილია სპბავშვო სურსათის განყოფილებანი, გაფართოვდა სავაჭრო ქსელი. მარტო წელს 11 მაღაზია გახსნა. კარგი სახსალწლო საჩუქარი — საქონლის უნივერსალური ასორტიმენტის მქონე თვითმომსახურების მაღაზია მიიღეს ფონიჭალის უნინის მცხოვრებლებმა. კიროვის რაკკვეშვაჭრობის ამ სავაჭრო საწარმოს 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე გამოფენილია არა მარტო სურსათი, არამედ სამრეწველო საქონელიც.

ხალხმრავალობა სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქის ყველაზე დიდ სასურსათო მაღაზიაში — თვითმომსახურების უნივერსალურ მაღაზიაში. ამ დღეებში მაღაზიის კოლექტივი ერთნახევარჯერ მეტ მყიდველს მოემსახურება, ვიდრე ჩვეულებრივ დროს.

მყიდველებს გულთბილად ეგებება კიროვის რაკკვეშვაჭრობის № 2 მაღაზიის კოლექტივი. აქ განსაკუთრებით დიდია საკონდიტრო ნაწარმის არჩევანი.

— ჩვენი მაღაზიები ძირითადად ემსახურებიან რაიონის მცხოვრებლებს. აქ ბევრი ხანრეწველი საწარმოა, — თქვა კიროვის რაკკვეშვაჭრობის დირექტორმა ლ. ანთაძემ, — და ჩვენც, შეეგებდეთ ყველაფერი გაგვაკეთებინა, რათა რაც შეიძლება უკეთ და მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნები. სადღესასწაულო დღეებში მაღაზიებში ორჯერ მეტი საქონელი გაიყიდება, ვიდრე ჩვეულებრივ. ორგანიზებულია დატარებითი ვაჭრობა, საქონლის შინ მიტანა. (საქინფორმი).

ᲖᲔᲑᲖᲔᲠᲘᲗᲘ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ

ვის არ ახსოვს რუსი დევგმირების ილია მურომეცის, ალიოშა პოპოვიჩის, დობრინია ნიკიტიჩის თავგადასავალები. რუსული ეპოსის ამ გმირების გვერდით დგას კეთილშობილი გოლიათი ფინისტიც, რომელიც ხალხმა მზეკაბუკ ფინისტად მონათლა.

ფილმ-ზღაპარში „ამბავი მზეკაბუკ ფინისტისა" ოსტატურად არის გადმოცემული რუსი მზეკაბუკის უთანასწორო ბრძოლა ბოროტ უაჩაღ კარტაუსთან. (მ. გორკის სახელობის კინოსტუდია).

ᲛᲐᲠᲘᲜᲐ

ფილმი შექმნილია ბორის ლავრენევის მოთხრობების მიხედვით. იგი მოგვითხრობს მეთევზე ქალისა და მეფის არმიის ოფიცრის სიყვარულის დრამატულ ისტორიას.

ფილმის მთავარ როლებს ასრულებენ ვლადიმერ კონკინი და მსახიობი ირინა შევჩუკი. რეჟისორია ბ. ავჩენკო, დამდგმელი ოპერატორი — ვ. ზიმოვეიცი. (ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲛᲖᲔᲭᲐᲑᲣᲚᲘ ᲤᲘᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ

ᲨᲔᲯᲐᲛᲓᲐ სსრ კავშირის სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის ტრადიციული წინასაახალწლო რეფერენდუმი წლის საუკეთესო სპორტსმენთა დასადგენად.

ამ ჟინ შეგიდა სპორტულ ლიტერატურა ითვალეს (ლეონიდეს მიხეიდეთან): ტატიანა ფედორინა („ბურევესტნიკი", გორკი) — ციგურები, ოლეგ ბლოხინი („დინამო", კიევი) — ფეხბურთი, სერგი ბელოვი (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი), კალათბურთი. ირინა კალინინა („ტორპედო", პეტნა) — წყალში ხტომა, ანატოლი კარბოვი (შეიარაღებული ძალები, ლენინგრადი) — ჭიდრაკი, ეკატერინა კულაკოვი („ბურევესტნიკი", ლენინგრადი) — ციგურები, ბაბელ ლეონოვი (შეიარაღებული ძალები, ლვოვი) — თანამედროვე ხუთჭიდი, ზებინისო რუსტამოვი („დინამო", დუშანბე)—მშვილდოსნობა, ლიუდმილა ტურიშჩევა („დინამო", როსტოვი) — ტანვარჯიში, ალექსანდრე ბაკუშევი („სპარტაკი", მოსკოვი) — ჭოკი.

ᲡᲪᲔᲜᲐ ᲔᲗᲛᲝᲒᲐ... ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲡ

დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება მხატვრული ტანვარჯიშის დიდი დღესასწაული საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

**საჩვენებელ გამოსვლებში, რომელიც ორ განყოფილებად გაიმართება, მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ოსტატები — სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ინტერვიზიის თასის წლევანდელი მფლობელი ირინე დერიუგინა, სსრ კავშირის პარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონი და მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის პრიზიორი ნატალია კრაშენინიკოვა, საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი ალბინა ბოგოლიუბოვა, ალა ბელოუსოვა, ალა ბელოუსოვა, ალა ბელოუს